

საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 28 თებერვლის N1/1/1673 საოქმო ჩანაწერის კრიტიკული შეფასება

2021 წლის 30 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და მის ნაცვლად შეიქმნა ორი ახალი უწყება: სპეციალური საგამომიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.¹ ცვლილებების თანახმად, 2022 წლის 1-ლი მარტიდან უფლებამოსილება ავტომატურად შეუწყდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ხელმძღვანელსა და მის მოადგილეებს.

2022 წლის 25 იანვარს, იმ დროისათვის მოქმედმა სახელმწიფო ინსპექტორმა, ლონდა თოლორაიამ, სარჩელი წარადგინა საკონსტიტუციო სასამართლოში, რომლითაც საკანონმდებლო ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობას და სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებას მოითხოვდა.² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2022 წლის 28 თებერვლის N1/1/1673 საოქმო ჩანაწერით³ არსებითად განსახილველად მიიღო სადავო ნორმების ნაწილი. ამასთან, სასამართლომ იმსჯელა სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების საკითხზე და მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

„სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ კრიტიკულად აფასებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საოქმო ჩანაწერში განვითარებულ მსჯელობას სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების თაობაზე და მნიშვნელოვნად იზიარებს მოსამართლე გიორგი კვერენჩხილადის მიერ გამოთქმულ განსხვავებულ აზრში მოცემულ არგუმენტაციას, რომელიც თან ახლავს საოქმო ჩანაწერს. სასამართლოს მსჯელობა პრობლემურია რამდენიმე მიმართულებით, არსებული, მყარი პრაქტიკისგან განსხვავებულად არის დანახული ნორმის შეჩერების საკანონმდებლო დანაწესი და არასწორად არის განმარტებული სასამართლოს აქამდე არსებული და წინამდებარე საქმისათვის რელევანტური პრაქტიკა. ამასთან, სამოქალაქო სექტორის მხრიდან არაერთი დაჟინებული მოწოდების მიუხედავად,⁴ დროულად განხილულიყო სახელმწიფო ინსპექტორის კონსტიტუციური სარჩელი, საკონსტიტუციო სასამართლომ საოქმო ჩანაწერი ინსპექტორის უფლებამოსილების შეწყვეტამდე 1 დღით ადრე, 28 თებერვალს მიიღო, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებაზე უარი კი, მათ შორის, ახლადშექმნილი სამსახურების ამ დროისათვის უკვე არჩეულ ხელმძღვანელთა ინტერესების დაცვის არგუმენტაციას დააფუძნა.

წარმოდგენილი დოკუმენტი მიმოიხილავს N1/1/1673 საოქმო ჩანაწერის იმ ძირითად პრობლემურ ასპექტებს, რომლებიც ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ფუნდამენტურ პრინციპებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას. ვთვლით, რომ სასამართლოს მხრიდან მსგავსი მიდგომები აზრს უკარგავს და ილუზორულს

¹ საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება: „მოვუწოდებთ საკონსტიტუციო სასამართლოს დროულად განიხილოს ლონდა თოლორაიას სარჩელი“, 11 თებერვალი, 2022, განცხადება ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/movutsodebt-sakonstitutsio-sasamartlos-droulad-ganikhilos-londa-toloraias-sarcheli>

² კონსტიტუციური სარჩელი N1673, ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13074>

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 28 თებერვლის N1/1/1673 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ლონდა თოლორაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

⁴ საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება: „მოვუწოდებთ საკონსტიტუციო სასამართლოს დროულად განიხილოს ლონდა თოლორაიას სარჩელი“, 11 თებერვალი, 2022

ხდის ადამიანის უფლებათა ეფექტურად დაცვისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრევენციულ მექანიზმს, როგორც სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტია და ზიანს აყენებს ინდივიდთა ლეგიტიმურ მოლოდინებს სასამართლოს საქმიანობისა და პრაქტიკის თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით.

1. მოსარჩელისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხეები და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოქმედება დროში

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოში ადამიანის უფლებათა ეფექტურად დაცვის უმნიშვნელოვანეს პრევენციულ მექანიზმს - სადავო ნორმის მოქმედების დროებითი შეჩერების ინსტიტუტს, რომელიც კონსტიტუციური მართლმსაჯულების ეფექტიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები რიგ შემთხვევებში არ ვრცელდება მის მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე⁵, „ნორმის შეჩერების რესურსი შესაძლებლობაა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუქმნას საფუძველი (სამართლებრივი შესაძლებლობა), უზრუნველყოს მყისიერი რეაგირება იმ შემთხვევაში, როდესაც ამის გადაუდებელი საჭიროება არსებობს“.⁶

მნიშვნელოვანია, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია როგორც მოსარჩელე მხარის ინიციატივით, ასევე თავად სასამართლოს მიერ, თუკი ეს უკანასკნელი სათანადო წინაპირობების არსებობაში დარწმუნდება. თუმცა, ყველა შემთხვევაში, მისი გამოყენება, ისევე როგორც გამოყენებაზე უარის თქმა, სასამართლოს მხრიდან, თანმიმდევრულ, დამაჯერებელ დასაბუთებას მოითხოვს და ეს დასაბუთება უნდა პასუხობდეს საკითხის მომწესრიგებელ კანონმდებლობასა და სასამართლოს მიერ პრაქტიკაში განვითარებულ ლოგიკას.⁷

კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმს უკიდურეს შემთხვევებში და მხოლოდ მაშინ იყენებს, თუკი სახეზეა შემდეგი წინაპირობები: ა) სადავო ნორმ(ებ)ის მოქმედება ქმნის მოსარჩელე მხარისთვის იმგვარი ზიანის მიყენების მყისიერ და რეალურ საფრთხეს, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც;⁸ ბ)

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-31-35

⁶ თამარ ბარამაშვილი, ლელა მაჭარაშვილი, „სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში“, გვ. 89, ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/files/2/Journal2019.1/T.Baramashvili-L.Macharashvili-2019.1ka.pdf>

⁷ თამარ ბარამაშვილი, ლელა მაჭარაშვილი, კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, ევროპის საბჭო, 2021, გვ 201, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/-/1680a34e34>

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის №1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის №2/3/868 საოქმო ჩანაწერი

სადავო ნორმ(ებ)ის შეჩერება უზრუნველყოფს საფრთხის აცილებას,⁹ გ) არ არსებობს ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოსარჩელე შეძლებდა საფრთხის აცილებას;¹⁰ დ) სადავო ნორმ(ებ)ის შეჩერებით არ ზიანდება სხვა პირთა უფლებები და საჯარო ინტერესები. ამასთან, თითოეული ამ წინაპირობის არდაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო დანარჩენ საკითხებზე მსჯელობას აღარ აგრძელებს და ნორმის მოქმედების შეჩერებაზე უარს ამბობს.¹¹

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ N1/1/1673 საოქმო ჩანაწერში განვითარებული მსჯელობა, უპირველესად, სწორედ მოსარჩელე მხარისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების მყისიერ და რეალურ საფრთხეებს ეხება. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ უფლებამოსილების შეწყვეტის შედეგად მას ზიანი მართლაც ადგება, თუმცა კონსტიტუციურ სარჩელში ვერ ამოიკითხა, „თუ რატომ არის, თეორიულ-სამართლებრივი თუ პრაქტიკული თვალსაზრისით, შეუძლებელი, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების პირობებში, მოსარჩელის იმ უფლებებში აღდგენა, რომელიც ახლა მას დარღვეულად აქვს ნაგულები“. სხვაგვარად, სასამართლო ვერ დარწმუნდა მოსარჩელისათვის დამდგარი ზიანის „გამოუსწორებელ“ ბუნებაში.

ძირითადი არგუმენტაცია, რომელსაც სასამართლო მოსარჩელე მხარისთვის მიყენებული ზიანის „გამოუსწორებელ“ ბუნებაზე მსჯელობას დაეყრდნო, ეხება ზოგადად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტს, მათი დროში მოქმედების თვალსაზრისით. სასამართლოს განმარტებით, „აქტები, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნევს და ძალადაკარგულად აცხადებს, არაკონსტიტუციურია მათი მოქმედების სრულ პერიოდში და ამა თუ იმ უფლების დარღვევას იწვევენ მისი მოქმედების, სამართლებრივი შედეგის დადგომის მომენტიდან... შესაბამისად, მოსარჩელისთვის სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობის შეწყვეტა არაკონსტიტუციური იქნება ნორმების ძალაში შესვლის მომენტიდან.“¹² ამასთან, სასამართლოს მსჯელობით, „ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა პირის საჯარო თანამდებობის განხორციელების უფლების არაკონსტიტუციური შეზღუდვა, სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს პირის ძირითადი უფლებების აღდგენა-გამოსწორება. მოცემულ შემთხვევაშიც, არ არსებობს გარემოება, რომელიც, სადავო ნორმათა არაკონსტიტუციურად ცნობის პირობებში, სახელმწიფოს გაათავისუფლებდა უფლებაში მოსარჩელის ეფექტიანად აღდგენის ვალდებულებისაგან.“¹³

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, მოსარჩელის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, თავისთავად და ცალკე აღებული, ნამდვილად არ არის სადავო ნორმების შეჩერების თვითკმარი საფუძველი.

საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ნიკოლოზ ცალუდელაშვილი, კახი ცალუდელაშვილი და მაცვალა ბარბაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის N1/7/681 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის №1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2

¹¹ თამარ ბარამაშვილი, ლელა მაჭარაშვილი, „სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში“, გვ. 98

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 28 თებერვლის N1/1/1673 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ლონდა თოლორაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარა. II- 22

¹³ იქვე, პარა. II- 23

უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა, როგორც წესი, ყველა იმ საქმეზე არსებობს, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად იღებს.¹⁴ შესაბამისად, შეზღუდვის განგრძობადი ბუნება თავისთავად არ გულისხმობს, რომ არსებობს სადავო ნორმით გამოწვეული გამოუსწორებელი შედეგი. ასეთი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება პირის უფლებაში აღდგენის ეფექტურ შესაძლებლობას ვერ ქმნიდეს.

ცხადია ისიც, რომ ზოგადად, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შედეგად, ნათელი ხდება, რომ ეს ნორმა ამგვარი რედაქციით კონსტიტუციასთან შეუსაბამო იყო მისი მოქმედების პერიოდის განმავლობაში, როგორც ამას სასამართლო მიუთითებს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმას იურიდიული ძალა ეცლება მისი მიღების მომენტიდან. საქართველოს კონსტიტუცია¹⁵ და კანონმდებლობა¹⁶ გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგებს ნორმის ძალადაკარგულად ცნობას უკავშირებს. ნორმა კი ძალას კარგავს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ ეს გადაწყვეტილება არ აღგენს ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.

მსგავს მდგომარეობებს სასამართლოს პრაქტიკაც, რომლის თანახმადაც, „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად არ ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რაც ქმნის საფრთხეს, რომ პირის უფლებაში აღდგენა არ მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ“.¹⁷ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმიც სწორედ იმისთვის არსებობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ასეთი პირების უფლებათა ეფექტური დაცვა და მყისიერი, რეალური საფრთხეების დროულად პრევენცია უზრუნველყოს.

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა ნორმის არაკონსტიტუციურობაზე მთელი მისი მოქმედების პერიოდის განმავლობაში, მის იურიდიულ შედეგებზე მსჯელობის გარეშე, სრულიად არარელევანტური და უშედეგოა მოსარჩელის მიერ საკუთარ უფლებაში ეფექტურად აღდგენის თვალსაზრისით. სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებაზე უარის თქმის პირობებში, ღონდა თოლორაიას კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას ფაქტობრივად დეკლარაციული ხასიათი ექნება, რამდენადაც სადავო ნორმები ძალადაკარგული იქნება გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. არსებული სამართლებრივი ჩარჩო კი ამ გადაწყვეტილების უკუძალით გავრცელების შესაძლებლობას არ იძლევა.

გარდა ამისა, საყურადღებოა სასამართლოს მსჯელობა იმ ნაწილში, სადაც ის ვერ ხედავს ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს, რომლებიც, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, ხელს შეუშლიდა მოსარჩელეს, საკუთარ უფლებაში სრულად და ეფექტურად აღდგენა მოეთხოვა. ამასთან, სასამართლო მიუთითებს, რომ ამგვარი გარემოებების არსებობის დასადასტურებლად მოსარჩელემ სათანადო არგუმენტაცია ვერ წარმოადგინა.

¹⁴ იქვე, პარა. II-24

¹⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი

¹⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარა. II -32

სადავოდ გამხდარი საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, გარდა იმისა, რომ მოსარჩელე მხარეს, როგორც სახელმწიფო ინსპექტორს, უფლებამოსილება შეუწყდა ვადაზე ადრე, საერთოდ გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, როგორც ინსტიტუცია. მისი უფლებამოსილებები კი გადანაწილდა ორ დამოუკიდებელ უწყებაზე. შესაბამისად, სრულიად გაუგებარია, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში როგორ უნდა დაუბრუნდეს მოსარჩელე საკუთარ უფლებამოსილებათა შეუფერხებლად განხორციელებას, როდესაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, საკუთარი კომპეტენციებით, საერთოდ აღარ არსებობს. ცალკე საკითხია, ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაშიც, კონსტიტუციური დავების განხილვის ვადების გათვალისწინებით, როგორ და რა ვადით იქნებოდა შესაძლებელი მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენა. N1/1/1673 საოქმო ჩანაწერში ამ საკითხებზე მსჯელობას საერთოდ ვერ ვხვდებით. მტკიცების ტვირთის სრულიად მოსარჩელე მხარეზე გადატანით, და უფლების აღდგენის მექანიზმზე მხოლოდ ზოგადი მითითებით, სასამართლომ თავი აარიდა, საკუთარ ვალდებულებას და პრაქტიკით დადგენილ მიდგომას, რომლის თანახმადაც, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებაზე უარის თქმისას, ის, როგორც წესი თავად უთითებს იმ კონკრეტულ მექანიზმებზე, რომლებიც მოსარჩელისათვის უფლებაში ეფექტურად აღდგენის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლოს დუმილი ამ საკითხებზე სრულიად გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოყვანილ მსჯელობას, რომ მოსარჩელე მხარისათვის მოცემულ შემთხვევაში, უფლებაში ეფექტურად აღდგენის კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმი უბრალოდ არ არსებობს.

ბოლოს, ურთიერთწინააღმდეგობრივია საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა, ერთი მხრივ, მოსარჩელის, ხოლო, მეორე მხრივ, ახლადშექმნილი უწყებების ხელმძღვანელების უფლებებსა და ლეგიტიმურ ინტერესებზე, შეუფერხებლად განახორციელონ საკუთარი უფლებამოსილებები. სასამართლომ სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებაზე უარის თქმისას, მხედველობაში მიიღო და ფაქტობრივად, დაცვის ღირს უპირატეს სიკეთედ ცნო იმ პირთა (ახლი უწყებების ხელმძღვანელების) ლეგიტიმური მოლოდინები, რომლებიც საოქმო ჩანაწერის მიღების დროისათვის არჩეულნი იყვნენ თანამდებობებზე, თუმცა ჯერ კიდევ არ ახორციელებდნენ უფლებამოსილებებს. შესაბამისად, გაუგებარია, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, როგორ და რა დასაბუთებით უნდა მოხდეს მოსარჩელის მიერ საკუთარ უფლებებში ეფექტურად აღდგენა, როდესაც შეჩერების მექანიზმზე მსჯელობისას უპირატესად არა მისი, არამედ მესამე პირთა ინტერესები ჩაითვალა. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის ახალი უწყების ხელმძღვანელები სრულად განახორციელებენ საკუთარ უფლებამოსილებებს, შესაბამისად, მეტად გასათვალისწინებელი იქნება მათი სამართლებრივი მდგომარეობა ინტერესთა შეპირისპირების საკითხის განხილვისას.

2. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებით მესამე პირების უფლებებისა და საჯარო ინტერესების შეზღუდვის საფრთხე

როგორც უკვე აღინიშნა, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს, კონკრეტული საქმის გარემოებები აკმაყოფილებს თუ არა ამ მექანიზმის გამოყენებისათვის დადგენილ კუმულატიურ წინაპირობებს. ამასთან,

სასამართლო, მოსარჩელის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარს ხშირად სწორედ იმ მიზეზით აცხადებს, რომ მხარე ვერ ასაბუთებს მისი უფლებებისთვის მიყენებული ზიანის გამოუსწორებელ ხასიათს. შესაბამისად, სახეზე არ არის უფლების დაცვის დროებითი პრევენციული მექანიზმის გამოყენების პირველი და უმთავრესი წინაპირობა და აღარ დგას ნორმის შეჩერების სხვა წინაპირობების შეფასების საჭიროება.¹⁸

აღნიშნულისგან განსხვავებით, წინამდებარე საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელე მხარისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტით მიყენებული ზიანი არ იყო გამოუსწორებელი, თუმცა მაინც იმსჯელა სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების შემთხვევაში მესამე პირების უფლებებისა და საჯარო ინტერესების შეზღუდვის საფრთხეებზე. მეტიც, მან „გამოუსწორებელი ზიანის არარსებობის გათვალისწინებით“¹⁹ შეადარა ერთმანეთს, ერთი მხრივ, მოსარჩელის, ხოლო, მეორე მხრივ, მესამე პირებისა და საჯარო ინტერესებისათვის ზიანის მიყენების საფრთხეები და შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ეს კი, შეიძლება ითქვას, თავდაყირა აყენებს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმის გამოყენებისათვის აქამდე დადგენილ სამართლებრივ სტანდარტებს.

რაც შეეხება, უშუალოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შინაარსობრივ მსჯელობას მესამე პირებისა და საჯარო ინტერესების შეზღუდვის საფრთხეებზე, მან ასეთად პირველ რიგში განიხილა ორი ახლადშექმნილი სამსახურის ხელმძღვანელთა ინტერესები, რომლებიც, საოქმო ჩანაწერის მიღების მომენტისათვის, უკვე განწყობილი იყვნენ თანამდებობებზე, თუმცა ჯერ კიდევ არ ახორციელებდნენ უფლებამოსილებებს. ამასთან, სასამართლომ იმსჯელა სადავო ნორმების მიღების ლეგიტიმურ მიზანზე, როგორც საჯარო ინტერესზე, რომელიც საგამომიებო და უფლებათა დაცვის მაკონტროლებელი მექანიზმების ერთმანეთისაგან გამიჯვნით ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრას და თითოეული ამ სამსახურის ეფექტურობის ზრდას მოიაზრებს. საბოლოოდ, სასამართლომ ამგვარი ინტერესთა კონფლიქტის რეალურობის შეფასების გარეშე ჩათვალა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის კომპეტენციის მომწესრიგებელი ნორმები *prima facie* შეიცავს ამგვარ საფრთხეებს და, შესაბამისად, „გამოუსწორებელი ზიანის არარსებობის გათვალისწინებით არ იკვეთება საფრთხის ქვეშ მყოფი ინდივიდუალური უფლების დამაჯერებელი პრიორიტეტი ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის საჯარო ინტერესზე, რაც, კანონის კონსტიტუციურობის პრეზუმფციის პირობებში, ცალსახად გაამართლებდა სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებას საქმის არსებითი განხილვის დასრულებამდე“.²⁰

პირველ რიგში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ განვითარებულ მთელს შინაარსობრივ მსჯელობაში მოსარჩელე მხარის ინტერესები და მისი თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების თანხმლები ზიანი მთლიანად დანახულია მოსარჩელის, როგორც ინდივიდის, უფლებრივი გარანტიების კრილში. საოქმო ჩანაწერში არსად ვხვდებით მსჯელობას მოსარჩელეზე, როგორც სახელმწიფო ინსპექტორზე, ასევე ზოგადად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურზე. საკანონმდებლო ცვლილებებით მოსარჩელე მხარისთვის მიყენებულ ზიანზე მსჯელობისას (მისი გამოუსწორებელი ბუნებისგან დამოუკიდებლად), საერთოდ არ არის

¹⁸ თამარ ბარამაშვილი, ლელა მაჭარაშვილი, „სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში“, გვ. 98

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 28 თებერვლის N1/1/1673 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ლონდა თოლორაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარა. II-32

²⁰ იქვე.

განხილული ის საფრთხეები და ზიანი, რაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უეცარმა გაუქმებამ შეიძლება შეუქმნას მსგავსი სამსახურების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას და იმ პირთა სამართლებრივ ინტერესებს, რომლებიც ასეთი სამსახურების შეუფერხებელი საქმიანობით არიან დაინტერესებულნი, რომ აღარაფერი ითქვას საზოგადოებრივი ნდობის ფაქტორზე, რომელსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა ეფექტურად დაცვაზე.

საზოგადოებრივი ნდობისა და ლეგიტიმაციის შესაძლო პრობლემები საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ასევე იმ ორ ახლადშექმნილ სამსახურთან და მისი ხელმძღვანელების მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შედეგად შეიქმნა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ე.წ. „ეროვნული ბანკის საქმეზე“²¹, სადაც გამოუსწორებელ ზიანზე მსჯელობა, მათ შორის, სადავო საკანონმდებლო ცვლილებებით შექმნილი ახალი ინსტიტუტის სტაბილურობასა და საქმიანობის ლეგიტიმაციას შეეხო. წინამდებარე შემთხვევაშიც, თუკი სასამართლო დააკმაყოფილებს ლონდა თოლორაიას კონსტიტუციურ სარჩელს, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ამ სამსახურების ლეგიტიმაცია და კონსტიტუციური დავის მთელი პერიოდის განმავლობაში (რაც კონსტიტუციური სამართალწარმოების ვადების გათვალისწინებით საკმაოდ ხანგრძლივია) განხორციელებული საქმიანობის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის საკითხი. ეს კი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს არამხოლოდ ამ სამსახურების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის აღქმას, არამედ იმ ძირითად უფლებათა ეფექტურ დაცვას, რომელზე კონტროლის განხორციელების კომპეტენციაც მათ მიეწიება.

რაც შეეხება ახლადშექმნილი სამსახურების ხელმძღვანელთა, როგორც მესამე პირთა, ინტერესების შეზღუდვის საფრთხეებს, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, თანამდებობის დაკავებისთვის გამართულ კონკურსში მონაწილეობა ან სულაც მასში გამარჯვება, უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე, მართალია ინდივიდს უქმნის გარკვეულ ლეგიტიმურ მოლოდინებს, თუმცა ასეთი მოლოდინი ვერ გახდება სადავო ნორმის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი, რომლის მოქმედებამაც შესაძლოა მოსარჩელისათვის გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს.²² მეტიც, მსგავს მოცემულობაში სასამართლომ რამდენიმე წლის წინ საერთოდ ვერ დაინახა მესამე პირთა უფლების დარღვევის შესაძლებლობა.

წინამდებარე შემთხვევაშიც, სასამართლოს მიერ საკუთარი პრაქტიკის განსხვავებულად განმარტების მიუხედავად (ვრცლად იხილეთ ქვემოთ), აშკარაა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ახლადარჩეული ხელმძღვანელები, საოქმო ჩანაწერის მიღებისას, ჯერ კიდევ არ ახორციელებდნენ თავიანთ უფლებამოსილებებს. შესაბამისად, მოსარჩელისა და მესამე პირების ინტერესთა შეპირისპირებისას რელევანტური ვერ იქნებოდა ამ პირთა მოლოდინები, არათუ მათთვის უპირატესობის მინიჭება. მითუმეტეს იმ

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის №1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ეშხარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარა. II-42

ფაქტის გათვალისწინებით, რომ კონკურსის გამართვის დროისათვის მასში მონაწილე პირებისათვის წინსწრებით უნდა ყოფილიყო ცნობილი სასამართლოში მიმდინარე კონსტიტუციური დავის თაობაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შეპირისპირებული ინტერესების მეორე მხარეს მოსარჩელის, როგორც მოქმედი სახელმწიფო ინსპექტორის, თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების საკითხი იდგა, რომლის დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის კანონმდებლობით დადგენილი გარანტიები რიგი არჩევითი (კონსტიტუციური ორგანოების ხელმძღვანელების) თანამდებობის პირებისათვის (მაგ., გენერალური პროკურორი, გენერალური აუდიტორი, სახალხო დამცველი) დადგენილ გარანტიებს უთანაბრდებოდა. აქვე დამატებით გასათვალისწინებელია განსხვავებულ აზრში გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნდა, რომ სადავო ნორმის შეჩერების დამატარებელი გარემოება, მათ შორის, გახდებოდა ახალი სამსახურის უფროსების თანამდებობაზე განწესება, მას შეჩერების საკითხი უნდა შეეფასებინა იქამდე, ვიდრე ფაქტობრივი მოცემულობა შეიცვლებოდა, ვიდრე საქართველოს პარლამენტი ამ თანამდებობისთვის შეარჩევდა კონკრეტულ პირებს.“²³ აღნიშნული კიდეც ერთხელ ხაზს უსვამს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმის ეფექტურად და დროულად გამოყენების მნიშვნელობას სასამართლოს მხრიდან, რაც ამ პროცესში, სამწუხაროდ, არ განხორციელდა.

ბოლოს, განსაკუთრებით პრობლემურია საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა საჯარო ინტერესების შეზღუდვის საფრთხეებთან დაკავშირებით, სადაც მან სადავო ნორმების მიღების ლეგიტიმური საჯარო მიზანი - სახელმწიფო ინსპექტორის მიერ საკუთარ კომპეტენციათა განხორციელებისას შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრა განიხილა. კერძოდ, სასამართლომ ამგვარი ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეები მხოლოდ თეორიულად შეაფასა და საჭიროდ არ ჩათვალა, გამოეკვლია, არსებობდა თუ არა რაიმე მტკიცებულება ან ხელშესახები გარემოებები, რომლებიც ამ საფრთხეს რეალურს, მყისიერს გახდიდა და გაამართლებდა მათი დაცვის ხარჯზე უფლებრივი მდგომარეობისთვის ზიანის მიყენებას.

სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმი, მათ შორის, იმითაც არის განსაკუთრებული, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მისი გამოყენების ყოველ ჯერზე, საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე უწევს სხვადასხვა ინტერესების შეპირისპირება და გარკვეული ვადით ერთ-ერთი მათგანისათვის სამართლებრივი უპირატესობის მინიჭება, საბოლოო გადაწყვეტილების შედეგის მიუხედავად. თუმცა, საქმის განხილვის ეტაპისაგან დამოუკიდებლად და ამ მექანიზმის ხშირად სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაუშვებელია სასამართლომ საკუთარი მსჯელობა მხოლოდ საფრთხეების თეორიულად არსებობაზე და ნორმის მოქმედების შეჩერების ნეგატიური ეფექტების შიშების საფუძველზე ააგოს. სხვა შემთხვევაში, მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული ლეგიტიმური საჯარო მიზნები, ყველა შემთხვევაში გადაწონიდა მოსარჩელის უფლებრივი მდგომარეობისათვის ზიანის მიყენების საფრთხეებს, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაში არ იზიარებს კანონმდებლის მიერ დასახელებული საჯარო მიზნების რელევანტურობასა და ლეგიტიმურობას.

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის - გიორგი კვერენჩილადის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2022 წლის 28 თებერვლის №1/1/1673 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით, პარა. II-27

3. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გადახვევის/პრაქტიკის არასწორად განმარტების საკითხი

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2022 წელის 28 თებერვალს მიღებული N1/1/1673 საოქმო ჩანაწერი არაერთ იმგვარ მსჯელობას მოიცავს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად წინააღმდეგობაშია სასამართლოს მიერ აქამდე დადგენილ პრაქტიკასთან, რიგ შემთხვევებში კი, მათ შორის, კანონმდებლობასთანაც. თუმცა საინტერესოა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში სასამართლოს პრაქტიკის ცვლილებაზე ღიად არ უმსჯელია, შესაბამისად, არც დაუსაბუთებია, რა სამართლებრივმა გარემოებებმა გამოიწვია ამგვარი განსხვავებული მიდგომები.

პრაქტიკისა და არსებული კანონმდებლობის განსხვავებული ინტერპრეტაცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველ რიგში მოცემულია საოქმო ჩანაწერის იმ ნაწილში, რომელიც მოსარჩელე მხარის უფლებრივი მდგომარეობის შეზღუდვით მიყენებული ზიანის შეუქცევად ბუნებაზე მსჯელობას ეხება და საკონსტიტუციო სასამართლოთა გადაწყვეტილებების დროში მოქმედების მიხედვით ეფექტურობას განსაზღვრავს. საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ძალადაკარგული ნორმა არაკონსტიტუციურია მთელი მისი მოქმედების პერიოდში, იურიდიული შედეგის თვალსაზრისით, არარელევანტურია მოსარჩელე მხარისათვის. მისი სხვაგვარი განმარტება კი, რომელიც ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის იურიდიულ შედეგებს მისი ამოქმედების მომენტს დაუკავშირებდა, წინააღმდეგობაშია არამხოლოდ სასამართლოს პრაქტიკასთან, არამედ არსებულ კანონმდებლობასთანაც.

პრაქტიკის არასწორი ინტერპრეტაციისათვის ასევე მნიშვნელოვანია სასამართლოს მსჯელობა იმ ნაწილში, სადაც სასამართლომ მესამე პირებისა და საჯარო ინტერესების შეზღუდვის საფრთხეებზე საუბრისას ინტერესთა კონფლიქტის მხოლოდ ჰიპოთეტური, თეორიული საფრთხეები შეფასა და მის რეალურობაზე, შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე არ უმსჯელია. ამ ნაწილში სრულიად გასაზიარებელია განსხვავებულ აზრში განვითარებული მსჯელობა, რომლის თანახმადაც, „სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო აფასებს მოსარჩელისა და სხვა პირთა შორის ინტერესთა კონფლიქტს და წყვეტს არა ზოგადად რომელიმე მათგანის უპირატესობას, არამედ საქმის შეჩერების მიზნებისთვის რომელი ერთი სიკეთე გადაწყვეტის მეორეს. ასეთია საკონსტიტუციო სასამართლოს მყარად ჩამოყალიბებული პრაქტიკა და აღნიშნულის საპირისპირო მსჯელობა ნიშნავს პრაქტიკის შეცვლას ან მის უარყოფას. იმავდროულად, სადავო ნორმის შეჩერებისას საპირწონე ინტერესის მხოლოდ ჰიპოთეტურ რისკებზე დაფუძნება, რომლებიც შეიძლება სრულებითაც არ იყოს ლოგიკური, არ შეესაბამებოდეს რეალობას და მეტიც, არც კი დასტურდებოდეს, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს შეჩერების მექანიზმის ქმედითობას, მისი მეშვეობით ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.“²⁴

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის - გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2022 წლის 28 თებერვლის №1/1/1673 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით, პარა. II-32

ბოლოს, საინტერესოა წინამდებარე საქმისათვის რელევანტური - 2014 წლის 19 თებერვლის N1/1/569 საოქმო ჩანაწერის ინტერპრეტაცია საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან, რომელიც ფაქტობრივად და სამართლებრივად არასწორია.

N569 საქმეში სადავოდ გამხდარი საკანონმდებლო ცვლილებებით ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესი. ამასთან, ცვლილებების ამოქმედებიდან მალევე გამოცხადდა კონკურსი საბჭოს წევრების ასარჩევად. ახალი წევრების უფლებამოსილებები იწყებოდა პარლამენტის მიერ საბჭოს არანაკლებ 7 წევრის არჩევისთანავე, რის შედეგადაც უფლებამოსილება უწყებოდნა სამეურვეო საბჭოს მოქმედ წევრებს. საკონსტიტუციო სასამართლომ N1/1/1673 საოქმო ჩანაწერში განვითარებული მსჯელობისას მიუთითა, რომ ამ ორ საქმეს შორის განსხვავებას განაპირობებს ის გარემოება, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და სპეციალური საგამომიებო სამსახურის უფროსები უკვე არჩეული არიან და ელოდებიან უფლებამოსილების ვადის დაწყებას, ხოლო N569 საქმეში საქართველოს პარლამენტს ჯერ არ ჰყავდა სრულად არჩეული საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 7 ახალი წევრი. თუმცა ამგვარი მსჯელობა არასწორად აღწერს N569 საქმის არსს. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საქმეში სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებაზე მსჯელობის დროისათვის არჩეული იყო საბჭოს მხოლოდ რამდენიმე წევრი (არა სრულად 7), თუმცა მათი მდგომარეობა იდენტური იყო ახლადშექმნილი სამსახურების ხელმძღვანელებთან მიმართებით, რაც ამ საქმეს N1673 კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებულ, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების, შუამდგომლობასთან მიმართებით სრულიად რელევანტურად აქცევს. ორივე შემთხვევაში ახლადარჩეული პირების მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელება დამოკიდებული იყო კონკრეტულ გარემოებაზე, (N569 საქმეში - შვიდივე წევრის არჩევაზე, N1673 საქმეში - კონკრეტულ თარიღზე, 2022 წლის 1 მარტზე), რომელიც სასამართლოს მხრიდან შუამდგომლობის განხილვისას ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი. ამასთან, N1/1/569 საოქმო ჩანაწერში სასამართლომ გარკვევით მიუთითა, რომ ის პირებიც კი, რომლებიც უკვე არჩეული იყვნენ საბჭოს წევრებად, არ ახორციელებდნენ უფლებამოსილებას, შესაბამისად მათი ლეგიტიმური მოლოდინები ვერ გადაწონიდა მოსარჩელის ინტერესს, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებით, თავიდან აეცილებინა საკუთარი უფლებრივი მდგომარეობის შეზღუდვის შეუქცევადი ზიანი. შედეგად, პრეცედენტული გადაწყვეტილების ასეთი განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მცდარად განმარტა არამხოლოდ N569 საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არამედ სასამართლოს არგუმენტაციის არსებითად მცდარი ინტერპრეტაცია გამოიყენა წინამდებარე საქმეში საკუთარი მსჯელობის დასაბუთებისათვის.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ სწორედ N1/1/569 საოქმო ჩანაწერში ვხვდებით მსჯელობას, რომლის თანახმადაც, „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების და მოსარჩელის მიერ სადავოდ მიჩნეული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი, მოსარჩელებს არ გააჩნიათ სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მათი კონსტიტუციური უფლების აღდგენას, სადავო ნორმით მოსარჩელეთა უფლებაში ჩარევის შედეგად გამოწვეული შედეგის გამოსწორებას.“²⁵ შესაბამისად, გაუგებარია

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის №1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ეშვარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", პარა. II - 40

საკონსტიტუციო სასამართლომ, წინამდებარე საქმეში, რატომ, რა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით გადაწყვიტა, რომ განსხვავებული სამართლებრივი მოცემულობა არსებობს. რას ეფუძნება დაშვება, რომ სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებაზე უარის თქმისა და მოგვიანებით თუნდაც კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, ღონდა თოლორაია შეძლებს სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე აღდგენას. მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსგან განსხვავებით, წინამდებარე საქმეში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა უბრალოდ არსებობა შეწყვიტა და ამ სამსახურის კომპეტენციები ორ სხვადასხვა ინსტიტუტს შორის გადანაწილდა.

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის მხრიდან დაჩქარებული წესით, ყოველგვარი საზოგადოებრივი ჩართულობისა და კონსულტაციების გარეშე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება და მოქმედი ინსპექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მნიშვნელოვნად უკან გადადგმული ნაბიჯი იყო ქვეყანაში პოლიტიკური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ინსტიტუტების არსებობისა და ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვის კუთხით. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გარშემო ბოლო დროს განვითარებული მოვლენებისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, ეს მოვლენა სამოქალაქო სექტორის მხრიდან „საკანონმდებლო თვითნებობად“ შეფასდა, რომლის მიზანიც „დამოუკიდებელ ინსტიტუტზე ზეგავლენის მოხდენა იყო“.²⁶ საქართველოს პარლამენტის მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი უარყოფითად შეფასდა ასევე საერთაშორისო აქტორების მხრიდან.²⁷ შესაბამისად, ამ პირობებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მოიაზრებოდა, როგორც ადამიანის უფლებებისა და კონსტიტუციური წესრიგის დაცვის გარანტორი. სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის საკანონმდებლო ხელისუფლების აქტების კონსტიტუციურობის შეფასების გზით ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ქმედითობისა და ადამიანის უფლებებისა და კონსტიტუციის უპირობო დაცვის უზრუნველყოფა.²⁸

სამწუხაროდ, 2022 წლის 28 თებერვლის საოქმო ჩანაწერით, სასამართლომ ვერ შეძლო კონსტიტუციური კონტროლის ეფექტურად განხორციელება, უარი თქვა მის ხელთ არსებულ, ძირითად უფლებათა ეფექტურად დაცვის უმნიშვნელოვანესი პრევენციული მექანიზმის - სადავო ნორმების მოქმედების დროებით შეჩერების მექანიზმის გამოყენებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით ფაქტობრივად შეუქცევადი გახდა აწ უკვე ყოფილი სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებით, მისთვის, ასევე ქვეყანაში ერთ-ერთი დამოუკიდებელი ინსტიტუტის შეუფერხებელი საქმიანობისათვის, მიყენებული ზიანი, რადგან სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებაზე უარის თქმის პირობებში, მომავალში ღონდა

²⁶ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით, 26 დეკემბერი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/arasamtavrobo-organizatsiebis-gantskhadeba-sakhelmtsifo-inspektoris-samsakhuris-shesadzlo-gaukmebastian-dakavshirebit>

²⁷ United Nations concerned over the decision of Georgian authorities to abolish the State Inspector's Service, available at: <https://georgia.un.org/en/168152-united-nations-concerned-over-decision-georgian-authorities-abolish-state-inspectors-service>

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტისა და საერთაშორისო სამართლის დაცვის საბჭოს (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

თოლორაიას კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებაც კი ამ სამართლებრივ მოცემულობას ვეღარ შეცვლის. ამასთან, სასამართლომ საკუთარი მსჯელობა იმგვარ არგუმენტაციას დააფუძნა, რომელიც რიგ შემთხვევებში გვერდს უვლის სასამართლოს აქამდე არსებულ პრაქტიკას და კანონმდებლობას, რიგ შემთხვევებში კი მის არასწორ ინტერპრეტაციას გულისხმობს. ყოველივე აღნიშნული კი ზიანს აყენებს, არამხოლოდ მოსარჩელის ინტერესებს, არამედ ზოგადად ინდივიდთა ლეგიტიმურ მოლოდინებს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და პრაქტიკის თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით და მნიშვნელოვნად აუარესებს ქვეყანაში არსებული კონსტიტუციური წესრიგის ქმედითობასა და ხარისხს.